სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/20

ქ. თბილისი 22 ივლისი 2020

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული
რებრენდინგის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივნისის №01-05-04/97 დადგენილების, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი), ბატონი კარლო კოპალიანის 2020 წლის 22 ივლისის №05-01/6 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 22 ივლისის №01-06-02/07 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სტუ-ის დიზაინის საერთაშორისო სკოლის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის – „დიზაინ-აზროვნების სატესტო ლაბორატორია - დასტა ლაბის“ (შემდგომში ლაბორატორია) წინადადება სტრატეგიული რებრენდინგის შესახებ (იხ. დანართი);

2. დაევალოს ლაბორატორიას ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად წარმოადგინოს წინადადებები შემდგომში შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით:

   I. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რებრენდინგი, რომელშიც შედის 2022 წლის 16 იანვარს სტუ-ის 100 წლისთავთან დაკავშირებული გარკვეული მოსამზადებელი ღონისძიებები;

II. სასწავლო პროცესის მართვის ახალი ელექტრონული სისტემის დანერგვის მიზნით ოპტიმალური შემსრულებლების იდენტიფიცირება;

III. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ახალი ვებგვერდის შექმნა და გაშვება;

IV. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მობილური აპლიკაციის შექმნა და გაშვება.

3. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს და დეპარტამენტებს სტრატეგიული რებრენდინგის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ჯგუფისთვის;

4. ზემოაღნიშნული საკითხის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის, არქიტექტურისა და დიზაინის ფაკულტეტის, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტისა და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ბიუჯეტებსა და, შესაბამისად, 2020 წლის ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2020 წლის 22 ივლისის №05-01/6 წერილით მოთხოვნილი პარამეტრების თანახმად (საპროექტო განაცხადი შეადგენს 731 700 (შვიდას ოცდათერთმეტი ათას შვიდას) ლარს);

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**